დააკვირდი სურათს.

- წიგნის რომელი ნაწილია ნაჩვენები ფოტოზე?
- რა მიზნით გამოიყენებდი ამ წიგნს?
- როგორ გგონია, რა სახის ტექსტები იქნება წიგნში: მხატვრული თუ საინფორმაციო?
- როგორ ფიქრობ, რა შეიძლება იყოს ამ წიგნის ბოლო რამდენიმე გვერდზე და რა დანიშნულებით შეიძლება ამ გვერდების გამოყენება?

- მიუბრუნდი ტექსტის ბოლო ნაწილს.
- გადააკეთე ის შენებურად.
- განაგრძე ამბავი.
- გაგრძელება ჩაწერე რვეულში.

- ტექსტში მოძებნე ერთმანეთის მსგავსი სიტყვები და ამოიწერე.
- მათი გამოყენებით შეადგინე წინადადებები.

- მოიფიქრე 3 შეკითხვა, რომლებზე პასუხიც ძალიან გაინტერესებს.
- გამოიყენე კითხვითი სიტყვები.
- დაფიქრდი, ვის მისწერდი ამ შეკითხვებს.
- დაწერე წერილის ტექსტი.

დააკვირდი ფოტოს. წარმოიდგინე, რომ მწერალი ხარ და დაწერე პატარა ამბავი ფოტოსურათის მიხედვით.

დახატე რვეულში მზე.
მზის გულში ჩაწერე სიტყვა ჟირაფი.

სხივებზე დააწერე ის ზედსართავი სახელები, რომლებითაც შეიძლება დაახასიათო ეს ცხოველი.



დახატე რვეულში მზე.
მზის გულში ჩაწერე სიტყვა გემი.

სხივებზე დააწერე ის ზედსართავი სახელები, რომლებითაც შეიძლება დაახასიათო გემი.



დახატე რვეულში მზე.
მზის გულში ჩაწერე სიტყვა უდაბნო.

სხივებზე დააწერე ის ზედსართავი სახელები, რომლებითაც შეიძლება დაახასიათო უდაბნო.



- **მოიფიქრე, რა საერთო სიტყვა შეიძლება ჩაიწეროს წრეში.**
- **წინადადებები გადაწერე რვეულში.**

ბებომ დედას კვერი →

გოგონამ როიალზე →

ვეზირმა მეფეს თავი →

ქეთიმ მეგობრის ჩანთაზე სტიკერი →

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. კითხვების პასუხები დაწერე რვეულში.

რუხი მგელი

ერთ დროს ადამიანის შემდეგ მგელი ყველაზე გავრცელებული ძუძუმწოვარი იყო დედამიწაზე. ის მთელ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ცხოვრობდა. დღეს, ადამიანის წყალობით, მგლების რიცხვი ერთი მესამედით არის შემცირებული. შემცირდა გარეული მგლის სიცოცხლის ხანგრძლივობაც და 6-დან 8 წლამდე მერყეობს. თუმცა ზოგიერთ მგელს 13 წლამდეც კი უცოცხლია. მგლები, დაახლოებით, 10 მგლისგან შემდგარ ხროვებად ცხოვრობენ და ერთად ნადირობენ. შინაური ძაღლის ყველა ჯიშის, დიდის თუ პატარის წინაპარი რუხი მგელია.

1. რატომ შემცირდა მგლების რაოდენობა დედამიწაზე?
2. რამდენ ხანს ცოცხლობს ეს ცხოველი?
3. რომელი შინაური ცხოველის წინაპარია რუხი მგელი?
4. შენი აზრით, რატომ შემცირდა ველურ გარემოში მცხოვრები მგლების სიცოცხლის ხანგრძლივობა?

ტექსტი გამოყენებულია ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ნებართვით.

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. კითხვების პასუხები დაწერე რვეულში.

მეკარვე

მეკარვე ფრინველი ერთადერთი არსებაა, ადამიანის გარდა, რომელიც საპირისპირო სქესის მისაზიდად სხვადასხვა საგანს იყენებს. მამალი მეკარვე ბუდეს წნელებითა და ბალახებით აგებს, შემდეგ კი ფოთლებით, ყვავილებითა და ბუმბულებით რთავს. ზოგჯერ ბოთლების თავსახურებს, პლასტმასის ჩანგლებსა და ადამიანების მიერ გადაგდებულ სხვა ნივთებსაც იყენებს. როდესაც ბუდეს დედალი უახლოვდება, მამალი მას თავის „კოლექციას“ უჩვენებს. ის ნისკარტით იღებს რამე ნივთს, აქეთ-იქით დადის და ასე ეპრანჭება. თუ დედალს „კოლექცია“ მოეწონება, იქ რჩება საცხოვრებლად.

1. რა მასალას იყენებს მამალი მეკარვე ბუდის ასაშენებლად?
2. როგორ ცდილობს ის დედალის მოხიბვლას?
3. რა შემთხვევაში რჩება დედალი მეკარვე მასთან საცხოვრებლად?
4. შენი აზრით, საიდან მოდის ამ ფრინველის სახელწოდება?

ტექსტი გამოყენებულია ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ნებართვით.

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. კითხვების პასუხები დაწერე რვეულში.

ზღვის ძუძუმწოვრები

არსებობს ზღვის ძუძუმწოვრების სამი სახეობა – დელფინები, ვეშაპები და ზღვის ძროხები, რომლებიც ნაპირზე არასოდეს გამოდიან. მათ სხეულზე ფარფლები და კუდი აქვთ. ვეშაპები დედამიწის ყველაზე დიდი ცხოველები არიან. კანქვეშ არსებული ცხიმის ფენა მათ სხეულს სითბოს უნარჩუნებს. ზღვის ძროხა მშვიდი და უწყინარი ცხოველია. მას ეს სახელი იმის გამო შეარქვეს, რომ წყალმცენარეებით იკვებება. ზღვის ძროხას ორად გაყოფილი ზედა ტუჩი აქვს, რომელიც ბალახის მოგლეჯაში ეხმარება. დელფინები საოცრად ჭკვიანი და უწყინარი ცხოველები არიან. ისინი ძალიან სწრაფად ცურავენ. ვეშაპებისა და ზღვის ძროხების მსგავსად, ცურვის დროს ისინიც კუდს ზევით-ქვევით იქნევენ.

1. რომელია დედამიწის ყველაზე დიდი ძუძუმწოვარი ცხოველი?
2. რატომ შეარქვეს ზღვის ძროხას ეს სახელი?
3. კიდევ რომელი ზღვის ძუძუმწოვარი ცხოველი იცი?
4. მოიფიქრე და რვეულში ჩაწერე კიდევ 3 შეკითხვა, რომელზე პასუხიც არის ამ ტექსტში.

ტექსტი გამოყენებულია ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ნებართვით.

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. კითხვების პასუხები დაწერე რვეულში.

პარაზიტი მცენარეები

ზოგიერთი მცენარე ნიადაგის მაგივრად სხვა მცენარეზე იზრდება და საკუთარი ძალებით არ შეუძლია საკმარისი საკვების მიღება. ამიტომ საზრდოს სხვა მცენარეებს ართმევს. ასეთი პარაზიტი მცენარეა რაფლეზიაც. მას მსოფლიოში უდიდესი ყვავილი აქვს. ყვავილის დიამეტრი ზოგჯერ 1 მეტრს აღწევს. მას არც ღერო აქვს, არც ფესვები და არც ფოთლები. საკვებს ტროპიკული ვაზის ფესვებიდან იღებს. რაფლეზიას თესლი ვაზის ფესვის მახლობლად ეცემა. ის ვაზის ფესვებში უწვრილეს მილაკებს არჭობს და იქიდან წვენს გამოწოვს. სიცოცხლის უმეტეს ნაწილს მიწის ქვეშ ატარებს და მხოლოდ მცირე ხნით ყვავის.

1. რომელ მცენარეებს ეწოდებათ პარაზიტები?
2. რატომ ართმევენ პარაზიტი მცენარეები სხვა მცენარეებს საზრდოს?
4. შენი აზრით, რა ემართებათ პარაზიტების „მასპინძელ“ მცენარეებს?
3. მოიფიქრე და რვეულში ჩაწერე კიდევ 3 შეკითხვა, რომელზე პასუხიც არის ამ ტექსტში.

ტექსტი გამოყენებულია ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ნებართვით.

- **ქვემოთ მოცემული ტექსტიდან წერტილები გაქრა. დააბრუნე წერტილები თავის ადგილას.**
- **რამდენიმე წინადადებით დაასრულე მოთხრობა. გაგრძელება ჩაწერე რვეულში.**

შოშიები ზამთარს თბილ ქვეყნებში ატარებენ ერთმა შოშიამ ფრთა მოიტეხა და ამხანაგებს ჩამორჩა ტყეში მხოლოდ ერთი ნაძვი იდგა შოშიამ ნაძვს შეაფარა თავი იჯდა მის ხშირ ტოტებში და სიცივისგან თავს იფარავდა მთელ ზამთარს ღვიის ბუჩქის ნაყოფით იკვებებოდა

გადაიწერე ლექსის სტროფი, დაითვალე მარცვალთა რაოდენობა თითოეულ სტრიქონში და დაწერე, რამდენმარცვლიანია.

ნიმუში:

ხვალ ხომ ჩემი დღეობაა,
დღე ნამდვილი გართობის!
მინდა მთვარეც მილოცავდეს,
მზეც და ყველა მნათობიც.

მოცემული სიტყვები დაყავი გადასატანად და ისე გადაიწერე.

ნიმუში: მოფრინდა — მო-ფრინდა, მოფრინ-და

- გაიშალა
- კურდღელს
- ბავშვები
- კარისკენ
- ცხოვრობდა
- სიზმარი
- აყვავდა

გააგრძელე თხრობა.
დაწერე 40 ან 50-სიტყვიანი ამბავი.

ტატოს კვირას მშობლებმა წითელი
საწვიმარი მოუტანეს.

წარმოიდგინე, რომ დაგეკარგა ლეკვი. დაწერე განცხადება, რომელსაც გაზეთში გამოაქვეყნებ.

ჩამოწერე წინადადებათა ნომრები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოვიდეს ამბავი.

1. მონადირეთა წევრებმა ხოხობი ააფრინეს.
2. ეს სანახები მაშინ ტყით ყოფილა დაფარული.
3. ერთხელ ვახტანგ გორგასალი უამრავი თანმხლებით თბილისის მიდამოებში ნადირობდა.
4. მალე ორივე ფრინველი თვალს მიეფარა.
5. მონადირენი კვალდაკვალ მიჰყვნენ და ბოლოს მიადგნენ ადგილს, სადაც ცხელი წყარო მოჩუხჩუხებდა.
6. იქ მათ უცნაური სანახაობა დახვდათ – ორივე ფრინველი ცხელ წყალში ჩავარდნილიყო და ჩაფუფქულიყო.
7. ხოხობს ვახტანგის მიმინო გამოედევნა.

დააწყვილე ღია და მუქი ფერის სკივრებში მოთავსებული საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები – ანტონიმები. გადაწერე რვეულში.

დააწყვილე ღია და მუქი ფერის სკივრებში მოთავსებული მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები – სინონიმები. გადაწერე რვეულში.

დააწყვილე სკივრსა და კალათაში მოთავსებული საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები – ანტონიმები. გადაწერე რვეულში.

დააწყვილე კალათსა და სკივრში მოთავსებული საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები – ანტონიმები. გადაწერე რვეულში.

დააწყვილე კალათსა და სკივრში მოთავსებული მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები – სინონიმები. გადაწერე რვეულში.

- მოძებნე ტექსტში სამსიტყვიანი წინადადება და გადმოწერე.
- დაუსვი კითხვა ამავე წინადადების თითოეულ სიტყვას.
- შემდეგ განავრცე წინადადება. ამისათვის დაამატე ერთი ან რამდენიმე სიტყვა.

კარგად დაიმახსოვრე:

მხ. რ. – მრ. რ.	ჩასვი სწორად და გადაწერე:
გატყდა – დაიმსხვრა	რვეული დევს – რვეულები _____
დევს – აწყვია	ყვავილი მოწყვიტა – ყვავილები _____
მოწყვიტა – დაკრიფა	ჭიქა გატყდა – ჭიქები _____
ზის – სხედან	კვირტი გამოიბა – კვირტები _____
მოიბა – მოისხა	მოსწავლე ზის – მოსწავლეები _____
ვარდება – ცვივა	ქვა გდია – ქვები _____
გდია – ყრია	ვაშლი ჩამოვარდა – ვაშლები _____

გადაწერე რვეულში ქვემოთ მოცემული არსებითი სახელები. მიუწერე რაც შეიძლება მეტი შესაბამისი ზედსართავი სახელი.

არსებითი სახელი

თმა – ქერა, მოკლე...

ბებია

ამბავი

წვიმა

ყურძენი

ფოთოლი

გზა

გადაწერე რვეულში ქვემოთ მოცემული არსებითი სახელები. მიუწერე რაც შეიძლება მეტი შესაბამისი ზედსართავი სახელი.

არსებითი სახელი

თმა – ხუჭუჭა, გრძელი...

გოგონა

ბალახი

ჩანთა

მეგობარი

ბამბა

რძე

მისწერე წერილი წიგნის რომელიმე პერსონაჟს. ესაუბრე მისი ქმედებების, ფიქრებისა და გრძნობების შესახებ.



გაიხსენე რომელიმე ცნობილი ადამიანი. წარმოიდგინე თავი მის ადგილას და დაწერე ავტობიოგრაფია.







გაიხსენე შენი საყვარელი ზღაპარი.
დაასრულე წინადადებები და დაწერე რვეულში:

ჩემი საყვარელი ზღაპარია _____.

ზღაპრის პერსონაჟია _____.

ეს ზღაპარი მომწონს, რადგან 1. _____

2. _____

ეს პერსონაჟი მომწონს, რადგან 1. _____

2. _____

წარმოიდგინე, რომ ერთმანეთს შეხვდნენ კომბლე და ნაცარქექია (ან ტომ სოიერი და კალე ბლუმკვისტი). შენი აზრით, რაზე ისაუბრებდნენ?გადმოეცი ამბავი 40-50 სიტყვით.

- **წაიკითხე სიტყვები.**
- **თითოეულს მოუფიქრე საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა.**
- **რვეულში ჩაწერე მიღებული წყვილები.**

ნიმუში: ბნელი — ნათელი

მოწყენილი—	მკვახე—
წინდაუხედავი—	საინტერესო—
უგემური—	მკვახე—
უძლური—	სწრაფად—
ზემოთ—	გარეთ—

ჩამოწერე რვეულში მოცემული არსებითი სახელები. მიუწერე რაც შეიძლება მეტი შესაბამისი ზედსართავი სახელი.

არსებითი სახელი

წვერი – წითური, ხშირი...

წყარო

საღამო

ზაფხული

ამინდი

ტყე

კაბა

- ტექსტიდან მიღებული ინფორმაცია მოკლედ მისწერე შენს მეგობარს.
- ნაწერს შეურჩიე სათაური.

- გაიხსენე ბოლოს წაკითხული მოთხრობა, იგავი ან ზღაპარი.
- შენი აზრით, რომელი იყო გმირის ყველაზე მნიშვნელოვანი საქციელი?
- დაწერე, რატომ მოგწონს ან არ მოგწონს მისი ეს საქციელი.
- შენ როგორ მოიქცეოდი მის ადგილას?

ხაზების ნაცვლად ჩასვი მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები და წინადადებები ისე გადაწერე.

- ლექსს წარმოვთქვამთ, პიანინოს _____ .
- კაკალს ვბერტყავთ, ვაშლს _____ .
- ლეღვს ვკრეფთ, სიმინდს _____ .
- ბალახს ვთიბავთ, ხეს _____ .
- სიმღერას ვისმენთ, სურათს _____ .
- შეშას ვაპობთ, ცეცხლს _____ .
- ქუდს ვიხურავთ, პალტოს _____ .

ხაზების ნაცვლად ჩასვი ერთსიტყვიანი წინადადებები და გადაწერე რვეულში. დაიხმარე ნიმუში.

	რა ხდება?	რა მოხდა?	რა მოხდება?
ნიმუში:	**წვიმს.**	**იწვიმა.**	**იწვიმებს.**
	● ღამდება.	_____	_____
	● _____	_____	გათენდება.
	● _____	იდარებს.	_____

დაფიქრდი, **რა იცვლება?**

გამოთქმებს უპოვე მნიშვნელობით მსგავსი სიტყვები და რვეულში გადაიწერე.

ერთ მუშტად შეკრულნი	ვეებერთელა
ნეკისოდენა	კამკამა
მთასავით დიდი	პაწაწინა
ბროლივით წმინდა	ერთსულოვანი
კაჟივით მაგარი	ჰაეროვანი
ბუმბულივით მსუბუქი	ჯანმრთელი

- მოძებნე ტექსტში სამი სიტყვა, რომლებიც ახასიათებს მთავარ გმირს.
- გამოიგონე ახალი პერსონაჟი და ამავე სიტყვებით დაახასიათე.
- შეცვალე ტექსტში მოცემული გარემო, სადაც ხდება მოქმედება. აღწერე შენ მიერ შემოთავაზებული მოქმედების ადგილი.
- მოიფიქრე და დაწერე ახალი ამბავი შენი პერსონაჟისთვის.

გემრიელი და ჯანსაღი სალათა, რომლის მომზადებას 3 წუთიც კი არ სჭირდება

ინგრედიენტები:

- 1 ცალი პომიდორი
- 150 გრამი სიმინდი (დაკონსერვებული ან ახლად მოხარშული)
- 2-3 ცალი მწვანე ხახვი
- 2-3 ღერი ოხრახუში
- 1 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი
- მარილი გემოვნებით

მომზადება:

სიმინდს დაუმატე წვრილად დაჭრილი (გათლილი) პომიდორი, მწვანე ხახვი და ოხრახუში. მოაყარეთ ცოტა მარილი, მოასხი ზეითუნის ზეთი და გემრიელად მიირთვი!

- სალათას შეურჩიე სახელი.
- ჩამოწერე, რა და რა გჭირდება მის მოსამზადებლად.
- მოიფიქრე, კიდევ რა შეიძლება დაამატო მას.

ძალიან სწრაფად და იოლად მოსამზადებელი სალათა

ინგრედიენტები:

- 3 ცალი კიტრი
- 1 თავი წითელი ხახვი
- 1 სუფრის კოვზი ვაშლის ძმარი
- 7- 8 ღერი კამა
- 1 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი
- მარილი გემოვნებით

მომზადება:

კიტრი და ხახვი დაჭერი წვრილად, მოაყარე ასევე წვრილად დაჭრილი კამა და მარილი გემოვნებით. მოასხი ზეითუნის ზეთი, ძმარი და ფრთხილად აურიე ხის კოვზით. გემრიელად მიირთვი!

- სალათას შეურჩიე სახელი.
- ჩამოთვალე, რა და რა გჭირდება მის მოსამზადებლად.
- რა მნიშვნელოვანი ინგრედიენტი აკლია ამ სალათას, შენი აზრით?

- **დაამთავრე სიტყვები და გადაიწერე წინადადებები.**
- **ხაზგასმული სიტყვების გამოყენებით შეადგინე თითო ახალი წინადადება.**

ზეიმ__ მხიარულად ჩაიარა.

დედა ნემს__ ეძებს.

წყალი გაიყინა და ყინულ__ იქცა.

აგორებული ქვა ხავს__ ვერ მოიკიდებს.

შეარჩიე შესაფერისი სიტყვა და წინადადებები გადაწერე რვეულში.

1. **დედა _____ ნემსით კერავდა.**

ა) წვრილი ბ) ვიწრო გ) წმინდა

2. **მისი იმედები _____ აღმოჩნდა.**

ა) ამაო ბ) უქმი გ) უმიზნო

3. **შროშანა _____ მცენარეა.**

ა) მრავალწლიანი ბ) წელმრავალი გ) ხანგრძლივი

4. **ქვევრში მაჭარი _____ .**

ა) თუხთუხებს ბ) ბუყბუყებს გ) ბუტბუტებს

5. **ცხვრის _____ შეეფინა მთის ფერდობს.**

ა) ჯოგი ბ) რემა გ) ფარა

შეარჩიე შესაფერისი სიტყვა და წინადადებები გადაწერე რვეულში.

1. ბუდეში გუგულის ბარტყები _____ .

   ა) იჯდნენ ბ) ისხდნენ გ) იწვნენ

2. თეამ მაგიდაზე ფერადი ფანქრები _____ .

   ა) დააწყო ბ) ჩააწყო გ) დადო

3. უსიერი შეიძლება იყოს _____ .

   ა) ბოსტანი ბ) ტყე გ) მინდორი

4. დედამ საუზმედ მოამზადა თოხლო _____ .

   ა) პური ბ) კვერცხი გ) ფაფა

5. მეზობელმა ევას თავისი ხეხილის ბაღიდან მიართვა თურაშაული _____ .

   ა) ყურძენი ბ) ვაშლი გ) ატამი

შეარჩიე შესაფერისი სიტყვა და წინადადებები გადაწერე რვეულში.

1. თეკლე _____ კიბით აუყვა მეორე სართულს.

ა) შემოხვეული ბ) დახვეული გ) დაგრაგნილი

2. ბავშვებმა _____ ახლადდაკრეფილი ყურძნით აავსეს.

ა) გოდოლი ბ) გოდორი გ) გვიმი

3. თამაშით _____ ირაკლის სავარძელში ჩაეძინა.

ა) დაქანცულ ბ) დამაშვრალ გ) დაღლილ

4. აბრიალებული არ შეიძლება იყოს _____ .

ა) თვალები ბ) ცეცხლი გ) წყალი

5. სოფელი _____ მაღალი მთებით.

ა) შემოხვეულია ბ) გარშემორტყმულია გ) შემოღობილია

ცხადი და ბუნდოვანი

გადაიხაზე ცხრილი. პირველ სვეტში ამოიწერე ტექსტიდან ის ადგილები, რომლებიც შენთვის გაუგებარია, ბუნდოვანია. ეცადე, მეორე სვეტში მიუწერო შენეული განმარტება.

ბუნდოვანი ადგილი	განმარტება

ციტატა და პერიფრაზი

გადაიხაზე ცხრილი. მარცხენა სვეტში ამოწერე ტექსტიდან ერთი ან ორი მონაკვეთი უცვლელად. მარჯვენა სვეტში გადმოეცი მონაკვეთის შინაარსი შენი სიტყვებით.

ციტატა	პერიფრაზი

გადაიხაზე ცხრილი. მარცხენა სვეტში ამოწერე ტექსტიდან შენთვის მნიშვნელოვანი ერთი ან ორი წინადადება. მარჯვენა სვეტში ახსენი, როგორ გესმის.

ავტორმა თქვა	მე ვამბობ (მე ვფიქრობ)

- **წაკითხული ტექსტის მიხედვით უპასუხე შეკითხვებს.**
- **პასუხების დახმარებით დაწერე ტექსტის მოკლე შინაარსი.**

- ვინ არიან მთავარი პერსონაჟები?
- სად და როდის ხდება მოქმედება?
- რით იწყება მოქმედება ნაწარმოებში?
- როგორ გამოხატეს თავიანთი გრძნობები პერსონაჟებმა?
- რა მიზნები აქვთ მათ?
- როგორ ცდილობენ ისინი მიზნის მიღწევას?

დააკვირდი მაგალითებს და წინადადებებში სწორად ჩასვი გამოტოვებული სიტყვები. შემდეგ წინადადებები რვეულში გადაწერე.

მაგალითები: სურათი – სურათები – **ბევრი სურათი;**

ყვავილი – ყვავილები – **უთვალავი ყვავილი**

წიგნი – წიგნები – **უამრავი წიგნი**

მეომარი – მეომრები – **ურიცხვი მეომარი**

1. მინდორში ყვავილები დავკრიფე. მინდორში ბევრი _____ დავკრიფე.
2. გაკვეთილები მოვამზადე. ყველა _____ მოვამზადე.
3. მას შემდეგ წლები გავიდა. მას შემდეგ მრავალი _____ გავიდა.
4. სანაპიროზე კენჭები შევაგროვე. სანაპიროზე უამრავი _____ შევაგროვე.
5. ცაზე ვარსკვლავები დავინახე. ცაზე უთვალავი _____ დავინახე.

ჩამოწერე წინადადებათა ნომრები ისეთი თანმიმდევრობით, რომ გამოვიდეს ამბავი.

1. მისი ნაყოფი არაბეთში მოხვდა.
2. მე-12 საუკუნემდე ყავის მარცვლებს ჭამდნენ.
3. ყავის სამშობლო ეთიოპიაა.
4. იქ პლანტაციების გაშენებას მიჰყვეს ხელი.
5. კიდევ ერთი საუკუნის შემდეგ კი დაიწყეს მარცვლების გამოშრობა, მოხალვა და დაფქვა.
6. მოგვიანებით კი მიხვდნენ, რომ მისი ნახარშის დალევა სჯობდა.

როგორ ფიქრობ, საიდან მოდის გამოთქმა – „მოუსვი ბაყაყური“. გადმოეცი წერილობით.

მაგალითად, გამოთქმა – „ჩაილურის წყალი დალია“ ასე გაჩნდა:

ჩაილური მდინარეა კახეთში. გამოთქმა, სავარაუდოდ, ლეკიანობის პერიოდში გაჩნდა. ითვლებოდა, რომ თუ გამტაცებლები მდინარე ჩაილურის მეორე ნაპირზე მოასწრებდნენ გადასვლას, დევნას აზრი აღარ ჰქონდა. მადევრები დანანებით იტყოდნენ, ეჰ, ჩაილურის წყალი დალიაო.

დაეხმარე მეგობარს შეცდომების გასწორებაში. გადაიწერე წინადადებები უშეცდომოდ.

- ჩემი შთაბეჭდილებები მშობლებს უამბე.
- მე და ჩემი და დილით ვარჯიშობთ.
- ეს რომ ვნახე, გაოცდი.
- მე ინტერესით უყურებდი ფილმს.

სამი ვარიანტიდან შეარჩიე ერთ-ერთი და გააგრძელე თხრობა. დაწერე 40-50-სიტყვიანი ამბავი.

1. ერთ დილას სკოლაში მისულ გიგის თავის მერხზე საბავშვო ჟურნალის ახალი ნომერი დახვდა...
2. ლიზის ვარსკვლავების ყურება უყვარდა. ძილის წინ ფანჯრიდან ყოველთვის შეხედავდა ხოლმე...
3. გაკვეთილების ბოლოს ბიჭები სპორტულ მოედანზე ფეხბურთის სათამაშოდ რჩებიან. ნიკას კი სულ სადღაც მიეჩქარება...

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ტექსტი და მოკლედ, 2-3 წინადადებით, გადმოეცი შინაარსი.

რატომ არ ეწებება ობობა ქსელს, რომელიც თვითონ გააკეთა?

ქსელზე მოძრაობისას ობობა ყოველთვის ცენტრიდან კიდეებისაკენ მიმავალ ძაფებზე გადაადგილდება, რადგან ისინი არ არის წებოვანი. წრეზე გაბმული ძაფები კი წებოვანია და იჭერს მსხვერპლს. ასეთი ნაქსოვი ობობას ეხმარება, იგრძნოს, ქსელის რომელ ნაწილში გაება მწერი.

ქსელი ძალიან მტკიცეა, თუმცა – საკმაოდ მსუბუქი. დედამიწის ეკვატორზე რომ ერთჯერ შემოგვეხვია, დაგვჭირდებოდა მხოლოდ 450 გრამი ობობას ქსელი.

ამოიწერე სწორი განმარტება:

ნიმუში: 1. გული მოუვიდა

ა) გაბრაზდა ~~ბ)~~ შეწუხდა ~~გ)~~ დაღონდა

1. პირში ჩალა გამოავლო

ა) მოატყუა ბ) შეარცხვინა გ) დაამცირა

2. ფრთები გამოესხა

ა) ფრენა ისწავლა ბ) ძალიან გაუხარდა გ) ამპარტავანი გახდა

3. ქანცი გაუწყდა

ა) მოთმინება დაეკარგა ბ) იმედი გადაეწურა გ) ძალიან დაიღალა

4. კუდზე გაწყრა

ა) კუდი აღარ მოაჭრა ბ) მეგობარი გააბრაზა გ) საქმე ბოლომდე არ მიიყვანა

მოიფიქრე და დაწერე 5 ან 6-წინადადებიანი ამბავი, რომელშიც ყველა ზმნა მომავალ დროში იქნება.

მოიფიქრე და დაწერე 5 ან 6-წინადადებიანი ამბავი, რომელშიც ყველა ზმნა ახლანდელ დროში იქნება.

მოიფიქრე და დაწერე 5 ან 6-წინადადებიანი ამბავი, რომელშიც ყველა ზმნა **წარსულ დროში** იქნება.

შენმა თანატოლმა წერის დროს შეცდომები დაუშვა.

- **დაკვირვებით წაიკითხე მისი ნაწერი.**
- **გაასწორე შეცდომები და ისე გადაწერე რვეულში.**

კარქი ამინდია. როგორც იქნა დათფა. გიორგი ეზოში გაიგცა. ბიჭები ფეღბურთს თამაშობდნენ. ნიკა კარში იდგა. გიორგი ბრთხილად მიეპარა, შეშინება უნდოდა. ნიკა ნამდვილი ვაშკაცია და სულაც არ შეშინდა. ამ დროს ტატომ ბურთს ფეხი ჰკრა და კარს ააცდინა. ბურთი გვერძე გაგორდა. გიორგი ახლა ბურთს მიზდევს...

ერთხელ თამარ მეფე თურმე იმერეთიდან რაჭაში მიდიოდა, მთიდან გადმოუხედავს და მთებს შუა დაკლაკნილი მდინარე ყვირილას დანახვაზე უკითხავს:

– ჭიაა თუ რა?

ასე დარქმევია ამ კოხტა ქალაქს ჭიათურა.

- ავჭალა თბილისის ერთ-ერთი გარეუბანია. როგორ ფიქრობ, რატომ დაერქმეოდა მას ეს სახელი? (მოიგონე რამე ამბავი)
- გორი -ერთ-ერთი უძველესი ქალაქია საქართველოში. ის ქვეყნის შუაგულში მდებარეობს. როგორ ფიქრობ, რატომ დაერქმეოდა მას ეს სახელი? (მოიგონე რამე ამბავი)

მისწერე წერილი რომელიმე თანამედროვე მწერალს. სცადე, აუხსნა, თუ რა გიზიდავს მის ნაწარმოებებში ყველაზე მეტად. დაასახელე კონკრეტული გმირები, ეპიზოდები, პრობლემები და ა. შ.

წერილი შეგიძლია დაიწყო ასე: ძვირფასო ავტორო...

გადაიყვანე ტექსტი მესამე პირში და ისე გადაწერე რვეულში.

დილით ადრე მელვიძება,
თვალს ვახელ და რას ვხედავ:
ჩემი სახლის ფანჯარასთან
ჩამომდგარა რაკეტა.
გახვეულა ცეცხლის ალში,
მეც სავსე მაქვს ჩანთები,
„ბუხ!“ - გუგუნით აიწევა,
ასტრონავტი გავხდები!
ჩემი კატა თრთის და ღელავს,
დრო არც მე მაქვს მოწყენის,
ერთი წუთიც, და ორივე
დედამიწას მოვწყდებით.

- გადახაზე კროსვორდი.
- ზედსართავი სახელების გამოყენებით შეავსე კროსვორდი ისე, რომ მწვანე ზოლში მიიღო სიტყვა „ლამაზი“.



1. მკაცრის ანტონიმი
2. ცუდის ანტონიმი
3. კოხტას სინონიმი
4. მოწყენილის ანტონიმი
5. ბეჯითის ანტონიმი
6. გონიერის სინონიმი

მოცემულ სიტყვებში ჩასვი თანხმოვანი დ ან თ და ისე გადაწერე რვეულში.

ლამაზა—, იპოვე—, დასახატა—, კითხულობ—, სხარტა—, მშვიდა—, გემრიელა—, კარგა—, ავაშენო—, შია—, სწყურია—.

როგორ ფიქრობ, საიდან მოდის გამოთქმა – „ქუდზე კაცი გამოვიდა“. გადმოეცი წერილობით.

მაგალითად, გამოთქმა – „ჩაილურის წყალი დალია“ ასე გაჩნდა:

ჩაილური მდინარეა კახეთში. გამოთქმა, სავარაუდოდ, ლეკიანობის პერიოდში გაჩნდა. ითვლებოდა, რომ თუ გამტაცებლები მდინარე ჩაილურის მეორე ნაპირზე მოასწრებდნენ გადასვლას, დევნას აზრი აღარ ჰქონდა. მადევრები დანანებით იტყოდნენ, ეჰ, ჩაილურის წყალი დალიაო.

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ტექსტი და მოკლედ, 3-4 წინადადებით, გადმოეცი შინაარსი.

საკურა ალუბლის ხეა. იაპონელებს მიაჩნიათ, რომ გაზაფხული საკურას ყვავილობით იწყება. მისი ყვავილი ვარდისფერი ან თეთრია. აქვს საამო სუნი. საკურის ხეებით ქუჩებსა საკურას ვარდისფერი ყვავილობა მარტის შუა რიცხვებიდან იწყება და პიკს, ძირითადად, 23-30 მარტს აღწევს. იაპონიაში ყოველი წლის გაზაფხულზე ადგენენ საკურას ყვავილობის რუკასა და პროგ-ნოზს, სადაც ზუსტადაა აღნიშნული, რომელ ქალაქში როდის ყვავის ალუბალი. სსაკურას ყვავილობის დასაწყისიდან ბოლო ყვავილების დაცვენამდე. პირველი ყვავილობის დღეს ინიშ-ნავენ, როცა ხის 5-6 კვირტი მაინც იშლება, ამ დღიდან ერთ კვირა-ში საკურა სრულ ყვავილობას იწყებს, ასეთ დღეებში ყველა ბაღებს მიაშუებს, ეწყობა პიკნიკები და სახალხო სეირნობები. საკურას სრულ ყვავილობად ითვლება დღეები, როც ახის კვირტების 80% უკვე გაშლილია.

მოიფიქრე და დაწერე წინადადებები ადგილის ზმნიზედების გამოყენებით:

შორს, ახლოს, ზემოთ, ქვემოთ, უკან, იქ...

წაიკითხე ტექსტი ყურადღებით. მოცემული სქემის მიხედვით დაწერე პერსონაჟის დახასიათება:

ნაწარმოების სათაური _____

პერსონაჟი _____

გრძნობს _____

ფიქრობს _____

ამბობს _____

აკეთებს _____

პერსონაჟის მიზანი _____

შედეგი _____

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ტექსტი და მოკლედ, 2-3 წინადადებით, გადმოეცი შინაარსი.

2 აპრილი – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე

2 აპრილს, დანიელი მეზღაპრის, ჰანს ქრისტიან ანდერსენის დაბადების თარიღთან დაკავშირებით, საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ეს დღესასწაული 1967 წელს დაარსდა. ჰანს ქრისტიან ანდერსენი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მეზღაპრეა. თავად მისი ცხოვრებაც ზღაპარს ჰგავდა. ის დანიის ქალაქ ოდენში დაიბადა. მან 70 წელი იცოცხლა და 50 ტომი დაწერა – რომანები, პოემები, პიესები და, რაღა თქმა უნდა, ზღაპრები. დღეს ანდერსენის მშობლიური ქალაქის ქუჩებში მწერლის და მისი ზღაპრების გმირების 18 ქანდაკება დგას.

წიგნის პატივსაცემად და კითხვის შესაყვარებლად 1995 წელს 23 აპრილი მსოფლიო წიგნის დღედ გამოცხადდა.

ყოველ ზმნას მოუძებნე რაც შეიძლება მეტი ვითარების ზმნიზედა და ჩაწერე რვეულში.

ნიმუში: **ვმღერი – ხმამაღლა, ხმადაბლა, მხიარულად, სევდიანად, თავისუფლად...**

- უკრავს
- უყურებს
- გადახედა
- უსმენდა
- ხატავს

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ტექსტი და მოკლედ, 3-4 წინადადებით, გადმოეცი შინაარსი.

დრაკონის ხე

დრაკონის ხე გავრცელებულია აფრიკაში, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კუნძულებზე. მცენარე გარეგნულად გიგანტურ კაქტუსს ჰგავს. მის მსხვილ ტოტებზე იზრდება წვეტიანი ფოთლები. ტანი 20 მეტრს აღწევს. მცენარე ნელა იმატებს სიმაღლეში. ზოგიერთი ხე 5-6 ათას წლამდე ცოცხლობს.

ძველი ინდური ლეგენდა მოგვითხრობს: თურმე უხსოვარ დროს არაბეთის ზღვაში, კუნძულ სოკოტრაზე, ცხოვრობდა სისხლისმსმელი დრაკონი, რომელიც თავს ესხმოდა სპილოებს და მათ სისხლს სვამდა. ერთხელ ბებერი და ძლიერი სპილო დაეცა დრაკონს და გაჭყლიტა. მათი სისხლი ერთმანეთს შეერია და ირგვლივ მიწა დაასველა. იმ ადგილას გაიზარდა ხეები, რომლებსაც დრაცენა ეწოდა, რაც ძველბერძნულად დედალ დრაკონს ნიშნავს.

შეადგინე წინადადებები, რომლებშიც ქვემოთ მოცემული სიტყვები მიცემით ბრუნვაში იქნება.

ნიმუში: **გრადუსი – ტემპერატურამ ორმოც გრადუსს მიაღწია.**

- ფასი
- ხავსი
- მწყემსი
- ნემსი
- სამოსი

ინტერვიუ პერსონაჟთან

- შენი საყვარელი მოთხრობიდან შეარჩიე ერთ-ერთი პერსონაჟი.
- ჩაწერე მასთან ინტერვიუ.
- ჩამოაყალიბე შეკითხვები და დაწერე პერსონაჟის პასუხები, რომლებიც, შენი აზრით, შეესაბამება მის მოქმედებას.

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

კარტოფილი

კარტოფილის სამშობლო სამხრეთ ამერიკაა. იქ ის უხსოვარი დროიდან მოჰყავთ. ევროპაში კარტოფილი ესპანელებმა შემოიტანეს, მაგრამ საკვებად არ იყენებდნენ. პირველ ხანებში ის ეგონათ დეკორატიული მცენარე. კარტოფილის ყვავილებით ალამაზებდნენ დიდებულთა სასახლეებს. ხალხმა მის ნაყოფს „ეშმაკის ვაშლი“ შეარქვა. მოგვიანებით დაიწყეს კარტოფილის საკვებად გამოყენება, რადგან ცნობილი გახდა მისი სასარგებლო თვისებები.

1. რა დანიშნულებით იყენებდნენ თავიდან კარტოფილს?
2. გამოიყენე სიტყვა „დეკორატიული“ და შეადგინე წინადადება.
3. შენი აზრით, რატომ შეარქვა ხალხმა კარტოფილს „ეშმაკის ვაშლი“? შენ რას დაარქმევდი?
4. რატომ დაიწყეს კარტოფილის საკვებად გამოყენება?

წარმოიდგინე, რომ უცხოელი თანატოლი დაინტერესდა შენი ქვეყნის ტრადიციებით.

- **აირჩიე რომელიმე ეროვნული ტრადიცია და წერილობით აღუწერე იგი თანატოლს.**
- **წერილის ბოლოს დაწერე შენი დამოკიდებულება ამ ტრადიციის მიმართ, როგორ აფასებ მას.**

ყურადღებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს. პასუხები დაწერე რვეულში.

არწივი

არწივი მტაცებელი ფრინველია. ის გავრცელებულია ევრაზიაში, აფრიკასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. მისი სხეულის წონა 6 კილოგრამამდეა, გაშლილი ფრთები 2-2,5 მეტრია. გარეთა და შუა თითების ბრჭყალი ძლიერ განვითარებულია. ფრთები გრძელი და განიერი აქვს, ბოლო – მომრგვალებული. მამალი და დედალი არწივი ერთნაირი შეფერილობისაა. ცხოვრობს ტყეებში, ველებზე, ნახევარუდაბნოებში, უდაბნოებში, მაღალ მთაზე. ბუდეს იკეთებს ხეებზე, კლდესა ან მიწაზე. შუა აზიაში არწივს ათვინიერებენ და სანადიროდ იყენებენ. არწივი სასარგებლო ფრინველია, რადგან ის ანადგურებს მავნე მღრღნელებს.

1. სად იკეთებს არწივი ბუდეს?
2. რა სარგებლობა მოაქვს მას?
3. რისთვის იყენებენ არწივს შუააზიაში?
4. რა ჰქვია ამ ფრინველის ნაშიერს?

- გაიხსენე იაკობ გოგებაშვილის ან სხვა რომელიმე მწერლის ბიოგრაფია.
- გადაიყვანე თხრობა პირველ პირში და ბიოგრაფიის ნაცვლად დაწერე მათი **ავტობიოგრაფია**.

ყურადღებით წაიკითხე მოცემული ტექსტი და მოკლედ, 3-4 წინადადებით, გადმოეცი შინაარსი.

ასტრონავტი

ასტრონავტი კოსმოსში მოგზაურს ნიშნავს. კოსმოსში ყოფნა არც ისე იოლია. იქ ხომ ყველაფერი უცნაურად ხდება. მაგალითად, არ შეგიძლია სიარული, რადგან ძირს ფეხს ვერ დადგამ. ძილისას საწოლზე უნდა იყო მიბმული, რომ სადმე არ გაფრინდე. ამის მიზეზი კი ის არის, რომ კოსმოსში არცერთ სხეულს არ აქვს წონა. მათზე არ მოქმედებს დედამიწის მიზიდულობის ძალა, რადგან ძალიან შორსაა ჩვენი პლანეტიდან. ამიტომ იქ ყველა ნივთი და თვით ადამიანიც კი დაფრინავს. ეს საკმაოდ რთულ პრობლემას უქმნის ასტრონავტს. ამიტომ იგი საგანგებოდ ემზადება, რათა წინასწარ შეეგუოს უწონადობას. ასტრონავტი ძალიან ბევრს ვარჯიშობს სპეციალურ დანადგარში. მას სიმულატორი ჰქვია. იგი ისეა მოწყობილი, როგორც კოსმოსური ხომალდი. ასტრონავტს იქ ასწავლიან, როგორ უნდა მოიქცეს, როდესაც უწონადობის პირობებში აღმოჩნდება. მას მარტო არც კოსმოსში ტოვებენ. დედამიწიდან მუდმივად აკვირდებიან და საჭირო რჩევებს აძლევენ.